



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9



2013 წლის 14 იანვარი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #236 განკარგულებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #236 განკარგულების შესაბამისად დამტკიცებულ „ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამაში
2. ცვლილებების გათვალისწინებით განკარგულება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.
3. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #13) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე \_\_\_\_\_ დავით ლომიძე



## შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

### პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო სახელოვნებო სივრცეში.

- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- ❖ სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ❖ მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ❖ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ❖ გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა.შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

### პროგრამის ბიუჯეტი

გგანისაზღვროს შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთ განვითარების\_ხელშეწყობისპროგრამის ასიგნებები 58160 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	52512
22	საქონელი და მომსახურება	5648
	სულ	58160

## პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ❖ განვითარება და პოპულარიზაცია. მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.
- ❖ სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღები ხელმისაწვდომობა.